



გაზეთის შასი

მაგზავნი: ერთი წლით-ექვსი მან., ნახევარი წლით-სამი მან., სამი თვით-ერთი მან. და ხუთმეტო შაური, ერთი თვით-სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ: ВЪ ТИПОГРАФІИ, ВЪ РЕДАКЦІЮ ГАЗЕТЫ „ПРОБА“



ხელის-მოწერა

თფილისში: გაზეთის „პრობა“ გამომცემლობაში, ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

მაგთი შემდეგი ადრესით უნდა დაიხარონ: ВЪ ТИПОГРАФІИ, ВЪ КОНТОРУ ГАЗЕТЫ „ПРОБА“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ მირიანაშვილის სახლებში.

ქანტარა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მედნაზე, შაბუროვის სახლებში.

განცხადება

საქართველო

თფილისის ბანკი.

მთავრობის ნებთა პირველს მომავალს სექტემბერს გაისხნება ქალაქ თფილისში საზოგადო შეკრებილება თფილისის თავად-აზნაურთ ბანკის საქმეზედ, აღმოსარჩეველად პირთა სხვა და სხვა თანამდებობაში.

ვაცნობენ ამხელ თფილისის გუბერნიის თავადთ და აზნაურთ, ამასაც დაუმატებ, რომ საზოგადო შეკრებილებაში ექნებათ მონაწილეობა მხოლოდ იმთ, რომელთაც შემოუტანიათ ანუ შემოიტანენ თავიანთ მხვედრს თფილის ბანკის სასარგებლოდ.

თფილისის გუბერნიის კეთილშობილთ წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი ძნ. დ. სუმბათოვი.

მხლა თფილისის სათავად-აზნაურთ ბანკის წეს-დება დამტკიცებულია, და პირველის სექტემბერისთვის უნდა მოხდეს საგანგებო კრება, რომელზედაც აზნაურება აღმოსარჩევეს ბანკში მოსამსახურე კაცებს. ჩვენ დიდის ინტერესით მოველით აზნაურების გარდაწვეტილებას. საზოგადოებაში ლაშის სასოებაც დაკარგა ამდენის მოლოდინითა და მოთმინებით, მაგრამ რა გაეწყობა!...

რამდენს ძვირფას განძრახვას, რამდენს ცხოველს იმედსა და ოცნებას სდებს ჩვენი დაეანზიანებული თავად-აზნაურება ბანკზედ! და ამ შემთხვევაში ის მართალიც არის. მხლა, ამ გარემოებაში, რასაკვირველია, ვერაფერი ვერ დაეხმარება ჩვენი მებატონეების მდგომარეობის გაუმჯობესებას ისე, როგორც ბანკი. მაგრამ ერთი პირობა არის საჭირო: ძველებურფლანგვასა და დაუდევრობას თავი უნდა დაანებონ, თორემ ერთი ამისთანა ღარიბი ბანკი კი არა, ათასი უშლიდრისიც ვერასფერს უშველის. თუ „კნიაზების“ ჯიბეები ისე იმ უშიროს ქვევრებს დაემზგავსა, მაშინ რა სიმძღვრე, რომელი კრედიტი გაუძღვება იმათ? შამოსაცდელად საკმაო უნდა იყოს ამდენის ხნის უზრუნველი ოჯახობა, ამდენი ბნევა, დაგირაეება, გაყიდ-

ვა და უწყობა! თუ გველილი ცხოვრებიდან შესძლებელი კი არის ჭკუის დაწავლა, თავად-აზნაურებას ახალი ეკსპერიმენტები აღარ სჭირიან და ის უნდა მიხედეს, რომ დღეს სხვა გზაზედ დადგომა მართებს...

ამ საყოველთაო გაჭირების და დავალიანების დროს ბანკი ზეციერ მანანათ ჩაითვლება უთუოდ, მაგრამ, ვიმეორებთ, ბერს ძველებურს მებატონეების ჩვეულებას და მოთხოვნილებას ბოლო უნდა მოეღოს!...

ამასაც ამბობენ, ვითომც ბანკი ვერ დააკმაყოფილებსა ყველა სესხის-აღების მსურველს, მაგრამ ეს შიში სრულიად უსაფუძვლოა, და ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ბანკის კრედიტი ერთობ საკმაო ექნება ჩვენი თავად-აზნაურობისთვის!

მეფიგონეთ აგრეთვე, ვითომც ზოგიერთს იმათგანს, რომელნიც არჩეულნი იყვნენ ბანკში სასამსახუროთ, არ უნდათ ხელ-ახლად კენჭის ყრა და იმ ადგილების დაჭერა რომელზედაც ისინი წესდების დამტკიცებამდის დანიშნულნი იყვნენ.

ჩვენთვის ძალიან საწყურხო იქნება, რომ უბრალო ჭირმალურმა წესმა დაუშალოს ვისმეს თავის ქვეყნის სამსახური. მისეთ გასაკვირველ შემთხვევათ ჩაირიცხებოდა, რამდენათაც ისეც, რომ თავად-აზნაურობამ საგანგებო კრებაზედ აღარ აღირჩიოს ხელ-ახლად წინანდელი კაცები.

მიქანიოთ იმედი, რომ არავინ არ იკადრებს არც ჯიუტობას, არც უანგარიშო საქციელს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თავად-აზნაურებიც და აღრჩეულნი პირნიც თანასწორ გონიერათ მოიქცევიან ამ საზოგადო საქმეში.

მეველი.

წერილი ამაგები

ჩვენ გაფიგონეთ, ვითომც ქუთაისის ქალაქის დებუტატები ჩამოსულან თფილისში და უმადლეს ჩვენს ადგილობრივ მთავრობასთან უჩივლიათ სხვა და სხვა უწყობაზედ, რომელიც ქუთაისის ქალაქის შემოსავალ-გასავალში მოხმდარა. ამბობენ, რომ მთავრობამ ეს საქმე საყურადღებოდ დანიხა და ჯეროვანს პატივის-ღებაში მიიღო.

ხონის საქალბო შკოლას ერთობ საქები მზრუნველი ქალი გასჩენია. ამბობენ, რომ ეს ღირსეული დედა-კაცი, რომელიც თავის თავს გარდა ქვეყანაზედ ვერც პატივსაცემელს და ვერც პატიოსანს კაცს ვერ პოულობს, ძლიერ კარგ იმედებსა სდებს თურმე თავის სამზრუნველო შკოლაზედ: ის არასოდეს არ ელაპარაკება შავრდებს სამშობლო ენაზედ, ჰგონია თუ, ისინი უცხო ენას უფრო იწავლიან; ორიოდე უხეიროდ გამოთქმული უცხო ენის სიტყვა რომ გა-

ფალბონი

გოდება

წალთა ზადა რიონისათა

(მდენის თავ-გამელოტებულს საზოგადო ასპარეზზედ მოქმედ პირებს.)

თავდება მეცხრამეტე საუკუნე, თავდება ჩვენი ნათელი დღეების ძალა და გველენა, ჰქრება უკანასკნელად ქრატის ალი, რომელიც ერთხელ ასრე ანათებდა ამ ჩვენს წყვილადს, რომელიც ნიდაგ წინ გვიძლოდა და გვიკვლევდა, გვიკაფამდა გზას ამ უდაბურს ტყეში. ის იყო ჩვენი ნათესაყუდლის კანდელი, საცა ჩვენს გვერდ-გატეხილს გემს თავი უნდა შეეფარა და ამორებულიყო ამ გულ ანგრეულ ოკეანის ტალღებს, რომელნიც უწყალოთ ან ერთს კლდეს მიახეთქდა, ან მეორე გვერდს გამოაგლეჯდა, ან ძირს გამოუშლიდა და შთანთქავდა ქვესკნელის სიღრმეში. მრება ის ლამპარა, და დღეს მისი ალი ვეღარ გვიჩვენებს თავის სახსნელს ხმელეთის კიდეს, ვერ ვშველით მით ჩვენს პურ მოკლებულს ქვეყანას იმ გოლივან ტაროსისგან, რომელიც დღეს ახალი მანქანებით, ახალი ფერ-ხორციით შემოსილი სკამს, ნთქავს, რყუნის ყველაფერს, რაც კი მშვენიერს და პატიოსანს სახეს და განწყენილ სურათს შეადგენს ჩვენთვის.

მეცხრამეტე საუკუნის დასასრული ჩვენ სხვა ბოლოუს, სხვა სამოთხისს კარს, სხვა საზოგადოებრივ ცხოვრებას გვიჩვენებს. დღეს სულ სხვა მოთხოვნილება ჩნდება, დღეს კაცის გული სხვაანართ ძვერს, სხვა მომავალს შესცქერის, სხვა სინათლეს სასოებს. წინათ რომ ჩვენ ერთისაგან ასი თუმანი მეორისაგან ექვსასი თუმანი აგველო, ეთქვათ ჯერ სესხათ, შემდგომ ქრთამათ, ან ეთქვათ ახალი მებატონის ერთგულობით რომ ახალი მებელი გაგვეწყუო, ან ჩიხა შეგვეყვრა სირმით შემკობილი ან მცონარი მოყვრების უმეცრებით ცოტა ოდნათ გვესარგებლო; მაშინ რასაკვირველია პატივისცემა მოგვეცემოდა, ბევრი რუმბი ცოლიკაურის ღვიწრო მოგვივიდოდა, ბევრი თავგანწირულით მოერთულე პირებით აიესებოდა ჩვენი დარბაზები, მაგრამ დღეს რადი უბერავს ჩვენს იალქანს ის გრილი, ტბილი და წყნარი ნიაფი.

დღეს ვეღარ ვსარგებლობთ ჩვენი ცოლებს მოყვრებით როგორც უწინ, როცა სხვა და სხვა სახლებს წაერთმევედით ხოლომე, დღეს სხვა გრიგალმა გარდუბერა ჩვენს ქალას, ნამეტურ ამ კენჭის ყრის დროს და ბანკის საქმის თაობაზე და ვინც ჩვენი მსასოებელი იყვნენ, ვინც ჩვენ უიტყევა-პასუხით თავეწარით გვემონებოდენ, დღეს ჩვენ ისინი ძმის მყიდველს, მქირადეს და ქომაგს გვიძახიან: აი შენ ჩვენი სისხლით შეღებილ წვერ-ულვაშიანო, შენ ესაო, შენ ისაო, შენ

ცალ გვერდაო, რომელსაც რვა ას თუმანში გინდოდა ჩვენი საადგილ-მამული ბანკი, საქციო ბანკით გადაგექცია და მით შენი სასარგებლო, ბევრი შენთვის საჭირო პარები მოგექრთამაო, ანა და ბანკი სულ გინდოდა დაგეშალაო, რომ მით ბევრი დიდებულების სურვილი აგესრულიაო და სხვანი.

დღეს ვერც ის ჰბუტები ვარგანან, რომელთაც ამდენი ყოფა ცხოვრება დაფლანგეს, ამოდენი ენა-მჭვერობა, ამოდენი ლაქუცი, ამოდენი დაბეზლება იხმარეს, ამოდენი შროიანი ქალები დაზარდეს, რომ მათს ზალღებს შეენება მისცემოდა, რომ დიდებულებთან პატივისცემა და გულ-გაწყობილება მიეღოთ. რამდენი შავი კენჭები მიიღეს, რამდენი თეთრი, სამჯერ თავი გამოიჩინეს, რამდენჯერ ჩრდილოეთის ნაპირები მოვლეს, რამდენი სადილები გააწყვეს, რამდენჯერ სტუმრების შესაგებებელათ ასობით ვერსი გაურბენათ, რა ბრძოლა, რა გულის ტყვილი და დაშხამული დღეები არ ატყვია მათს სირმით მოქარგულს გულ-მეგრდს! მაგრამ უმადურია ეს დროება, ყალბია კაცობრიობის გული...

ბევრს ძველი ჩვენი მეფეების ქალები შეურთავს, ბევრი ლაქუცობა, ფხის ლოკვა იმათაც გამოსცადეს. ბევრჯერ გვერდები დამტერიეს, დიდ ხანსაც გაიგრძედა დიდებულათ ცხოვრება, ბევრჯელაც დარჩენიათ ბურ-

თი და მოედანი. მაგრამ ამათაც ბედმა უმტყუნა და იმ სიმადლიდამ, რომელსაც ჩვენი წიფლის ხეებაც ვერ შესწვდებოდა, დღეს ამათაც ჩამოიქვეითეს და მონაზონსავეთ კნაივან, იმალებიან უკანასკნელს თავის შესაფარს ხერეღში.

ბევრმა სხვა მელობაც გამოსცადეს: იყო დრო, როცა ტყვის მყიდველებს ფარვიდენ, როცა ხან ერთ ჯიბიდან ამოაცოცებდენ, ხან მეორედამ, იქაც ისარგებლებდენ, აქაც ხელს არ დააკლებდენ. სუფსის პირებზედაც უწყაივით, სხვა ქალებშიაც უწყაივით, არც თავის ძალა და გველენა გამოადგათ, არც აქვლაციის წერა, არც ბრძენობის სახელი, არც მწერლობაში განვითარება. შეველამ უმტყუნა, ყველამ ჩხირი მიუტეხა და დღეს საიმედოთ მარტო ის რჩება, პატარძალების მშობრობით და მათის მზითვეით უკანასკნელი წუთისოფელი ტბილათ მინც გაატარონ.

ბევრი ჩვენი შავირდებიც გამოვიდნენ ცხოვრების ასპარეზზედ, ვითომც აპელაციის მცოდნეობის ხმა დაიგდეს, ვითომც ქვეყრილი გზების კეთებითაც გამოიჩინეს თავი, ვითომც სხვა ოსტატობას და სპარსეთის პოლიტიკის ცოდნასაც ხელი არ დააკლეს. ქალებს თავსაკრავებიც მოხადეს, ერთიც გამოოსცადეს და მეორეც.

არა, არ იქმნა, ძეგლის დროის შეჩვეულმა ვერც ახალს გაუმაგრდით, შოველი

აგონოს თურმე შვირდებისაგან, უხარია და ამბობს, მალე მოვესწრებით, რომ ყველა დიდ ოჯახებში ნაირ-ნაირ ენაზედ მოლაპარაკე-გოგოები გვეყოლოსო. იმედი მაქვს, რომ ჩვენი ხონის საქალბო შკოლა ბევრს ამგვარს მოსამსახურე გოგოებს დაგვიზღისო. ძველანაზედ ბევრია ისეთი კუჟა-დაბნეული თავმოყვარე კაცები, რომელნიც იმასაც კი ფიქრობენ, რომ ქვეყანაზედ ჩვენა ერთ უფალნი და ყველაფერი, რასაც საზოგადოება ან მთავრობა დაწესებს, მართა ჩვენი გამოსადეგო, ჩვენი გოგოებისა და ბიჭების დამზრდელი უნდა იყოსო. მანუგეშოთ ამიტომ ხონის საქალბო შკოლის გულკეთილი მზრუნველი, რომ მართა ჩვენში და მართა მას არ მოსულია ეს ყოველად საქები აზრი: „ყოველივე შკოლა იმისთვის არის დაწესებული, რომ ბატონებს ერთგული, მორჩილი, ქურდობას შეუჩვეული გოგობიჭები დაგვიზარდოსო.“

— ჩვენ შევეცეთ, რომ ქუთაისის საადგილ-მამულა ბანკის წესდება წარუდგენიანთ უმაღლეს ადგილობრივ მთავრობასთან განსახილველად და ჯეროვანი მსვლელობის მისაცემად. ზოგმა გეთხრა, რომ უფ. ბ. ლაღობერიძისაგან შედგენილა პროექტი ძალიან შესწავლაო კომისიამ და ყველაზედ მომეტებულად ერთი იმისი ნაწილია; ზოგისაგან კი ის გაეგონეთ, რომ პროექტი სრულიად არ შეცვლილა, ისე წარადგინესო. ჩვენ ძალიან გვინდა ვიცოდეთ, რა სახით აპირებს ეს წესდება საზოგადოების წინაშე წარდგომას, წინანდელის ფერით, თუ სხვებზე ჩვენ რომ კომისიის ამბავი ვიცით, შესაძლებელია, რომ ბანკის წესდება მშვიდობით ასცილებოდეს კომისიის საეჭირო დანებს. მაგრამ ჩვენთვის მაინც საჭიროა ვიცოდეთ და კომისიისა ცალდებული უნდა იყოს, ვგონებთ, რომ ნამდვილი ყოველივე შეგვატყობინოს საქვეყნოდ გამოცხადებით. თუ კომისიის

თვითონ კი სურვილი არა აქვს, რომ თანე კარში გამოჰყოს ჩვენ მოვითხოვთ მისგან, რომ მოწოდება ვალდებულება აგვისრულოს. — ხომ იცის იმან, რომ ჩვენ და სხვები ერთმანეთს ბრალდებულად ვსთვლით. მოწოდების აუსრულებლობისათვის მოწმად დანიშნულს კანონი ჯარიმას ახდენინებს. ჩვენ კი მხოლოდ ეს შეგვიძლიან, რომ ხელ შეუხებელი და უფრო საგრძობელი ზნეობითი ჯარიმა ვაზღვევინათ ოდესმე იმათ, ვინც შეჯიბრებული კაცების და ზავებისა და საქმის გამორკვევისათვის საჭირო შემწევობაზედ იძუწებს!

— შუ. პ. ჩარეკოვი ატყობინებს ვაზეთს „კავკასს“, რომ ტრაპიზონის ქალაქში, რომელშიაც ოცდა ჩვიდმეტი ათასი მცხოვრები იქნებაო, თათრებს თვრამეტი პირველ დაწყებითი შკოლა აქეთა. მს შკოლები დაფუძნებულია მოლღებისაგან, რომელთათვისაც მთავრობას არავითარი შემწევობა არ მიუცია და არც ეხლა აძლევსო. მმართველობისაგან აქ მართა ერთი ჩვენებური უზნის სასწავლებლისთანა შკოლა არის გახსნილი. ბერძნებს ტრაპიზონში ოთხი ჩვენებური პროგიმნაზიების შესადარი სასწავლებელი ჰქონიათ და ერთი ლიცეია, ექვს კლასიანი, რომელშიაც სასწავლებლად პროგიმნაზიებში კურს დასრულებულები შედიან. შევლა საგნების სწავლება ბერძნულს ენაზედ არის. ამას გარდა ბერძნებს აქ ერთი საქალბო სასწავლებელიც გაუმართათ. სომხებს ორი სასწავლებელი ჰქონიათ, ერთი საეჭებო და ერთი საქალბო. საგნებს სომხურს ენაზედ ასწავლიან. შესანიშნავია ის ფაქტი, რომ მსამალეთში, როგორც ამ ერთ ქალაქში ისე სხვაგანაც, მმართველობა იმდენს ხარჯს არ სწევს სასწავლებლებზედ, როგორც სხვა სახელმწიფოებში; მაგიერად მცოვრებლები, და ყველა უცხო ტომის წარმომადგენლები, როგორც მოსული, ისე

მუდამ იქ მცოვრებლები, ერთი ზეორის შეჯიბრებით შკოლებს აფუძნებენ და საგნებს იმ ენაზედ ასწავლებინებენ, რომელზედაც სწავლებას ნამდვილი პედაგოგიური მეცნიერება მოითხოვს.

— ქუთაისიდან სწერენ ერთს რუსულს ვაზეთს, რომ რამდენიმე საზღვარს გარეთელ ფულის-მეპატრონეებმა საზოგადოება შედგინეს და სთხოვეს ჩვენს მმართველობას, რომ ეს საზოგადოება დაამტკიცოსო, მისცეს მას მრევნის გუბერნიაში 150,000 დესიატინა მიწა 50 წლის ვადით და ამასთან იმ თავნის გარანტია, რასაც ეს საზოგადოება პავკასიაში დახარჯავს და თვითონ ეს საზოგადოება ჰპირდება მთავრობას: 1) ამ 150,000 დესიატინა მიწაზედ კოლონისტებს დაფასანლებთ, ქარხანებს გაემართათ და სარწყვეთარხებს გაეყვანათ; 2) მთელი სიღრმე საარსეთის საზღვრამდის რკინის გზას გაეკეთებთო, რასაკვირველია გარანტით; 3) მტკვრის ქალას კოლონიებით აეყვებთო, ქალაქისა და მამბეულის და შაქრის ქარხნებს გაემართათ; 4) რიონის ქალას, საცა კი ჰქაობებია, გაეშრობთ და თამბაქოს ყანებს დაიდებთო; 5) შოთა-თფილისის რკინის გზიდან სოხუმამდის და შემდეგ როსტოვამდისაც რკინის გზას გაეკეთებთო. მორრესპონდენტი, როგორც ეტყობა, ძალიან გაჯავრებულია, რომ ეს საზოგადოება უმთავრესად საზღვარს გარეთელი კაპიტალისტებისაგან არის შემდგარი; და ამიტომაც სძრახავს მმართველობისაგან გარანტიის თხოვნას. ჩვენ არ ვიცით, რამდენად მართალია ეს ცნობები და ამის გამო არა გვაქვს ჩვენის შეხედულობის გამოცხადების სურვილი. მს კა რომ, თუ გარანტიის თხოვნა შინაურებს არ ეძრახვის, საზღვარს გარეთლებმა რა დააშავეს.

წლებადელი წელი ბევრით შესამჩნევია ჩვენის გლეხობის ცხოვრებაში. მას მერმეთ რა რომ გლეხების განთავისუფლება მოხდა, აქამდის გლეხობა ნიდაგ იცელიდა ძველს ჩვეულებას და მდგომარეობას; ის ცდილობდა განშორებოდა ყველაფერს, რაც კი ახალს მოთხოვნილებას და საზოგადოებრივ კანონებს არ ეთანხმებოდა; იმას უნდა დაეგო, რაც კუდი იყო მის წასრულში და რაც გამოსადეგი შემდეგში. აგერ ცხრა წელიწადი გავიდა, რაც ჩვენი გლეხობა ნიდაგ ბრძოლაში, ნიდაგ ფიქში და ეთი-გაგლახშია. ის იმდენათ დამხადებული არ ყოფილა, რომ მაშინვე მოელოხელი; რაც საჭირო და გამოსადეგი იქნებოდა მისთვის. ამიტომაც ის მოთმენით შეკურებდა ახალგაზრდას, თუ რა გზაზედ დააყენებდა, თუ როგორ უწინამძღვრებდა მას. ახალგაზრდაც არ გაჩერებულა, იმას გაგებული ქადა, თუ რა ვალი უნდა აესრულებინა და, რაც მოთხოვნილება ჩნდებოდა ჩვენს საზოგადოებაში, მოაელოხელი მის წინამძღვრობას და, რაც შეეძლო, ცდა არ დაუკლია; მაგრამ საუბედუროთ ის როდის ყოფილა საკმაოთ დამხადებული, ახალგაზრდობის უმრავლესობა რუსულ ლიტერატურაშიაც არ ყოფილა რიგინათ გაწერთილი და განსაკუთრებით როდი ჰქონია ხალხის ცხოვრების კანონები შესწავლილი ისრე, რომ ცხოვრებაში გამოეყენებიათ რიგინათ. ახალგაზრდობის უმრავლესობას ხშირად ისეთი სპეციალური სწავლა ქადა მიღებული, რომელიც მართა პიროვნული ცხოვრებისთვის იქნებოდა გამოსადეგი და საზოგადოებისთვის იმდენად საჭირო იყო ის სწავლა. როგორც, ეთქვათ, ვილაცა ნემეცის მებანიკის ცოდნა, რომელიც მაშინისტობაში

ჩვენი ფხვის გადაღმა და წვივის წამტრევა ერთია, ყველგან ემარცხლებით, ყველგან თაე-გამოშვერილი ქვა გვებორკება, ყველგან ხრამი, ღრე და ნაპრალო.

ჩვენ ვაზეთებში გამოსარჩლების ნიჭიც გამოვიჩინეთ, მაგრამ რა: აქ ვილაც წვივ-მოურეცხელი, თმა გაუმშრალი წაგეტრანება, იქ ვინმე უპირო მოგვარდება და დაუსჯელათ ხელს დაგკრავს მოტიტელეზულ თავზედ, პატიცემულს უღვაშს შეგირცხვენენ, გააკიცხვენ, დაგლანძღავენ.

მს, ღმერთო! რათ მოიძულე ქვეყნიერება აგრე, რათ შეიძულე ამოდენი ხნის თქვენი მსასოებელნი და უღირსნი თქვენნი მონანი!

არა, შეიმუსრა, შთანიტქა, რაც კი ძვირფასი, დიდებული და პატიოსანი იყო ჩვენს ნიდაგზე, დაიღუბა ჩვენი წასრული დრო, ვერც კი ვებედავთ, რომ სადმე საქებათ მოვიგონოთ ჩვენი ლტოლვა, ჩვენი შრომა! აღარა ვინ სცემს პატივს ჩვენს ქალარა წვერულვაშს, არც ჩვენს გვარს ახსენებენ, არც ჩვენს სახელს!

მაგრამ მოგვიტმინეთ. რაკი ჩვენ ამდენათ უზნაური და მწარე სოფელი მოგვიტმინა, ჩვენი ძარღვები და მკლავები ახალ დაბრკოლებაშია, ახალცხოვრების საომარ ველზედაც გამოგვადგება. ჰერ კიდევ ძალით საესე სისხლით არის გამობერილი ჩვენი გულ-ღვიძლი, ჩვენ კიდევ შეგვიძლიან გვირუ-ღვით ვაემაგროთ ჩვენი ბანაკი და ვაქვა-

კურად მოვიგეოთ ჩვენი მტერები. ჩვენ კიდევ იმ რწუნებისაც ვართ, რომ ჩვენი დროშა საწადელ ხარისხზედ აღიმართება და მის ჩრდილში ჩვენი დიდება გაბრწყინდება. ბარაკალა ჩვენს წასრულს და აწყყოსაც, ბარაკალა ჩვენს ენას და გამპრიახობას, ჩვენს ოქროებს და ჩვენს სადილებს!

დახედეთ ამ ჩვენს კრებებს, თუ როგორი მიმართულება მიიღოს, მოითმინეთ და შეიტყობთ, თუ რა ძალით და თანხმობით შეიტყვროს ის და ამ სხვა და სხვა კალაპოტის კაცებმა რა ერთობა და ძმობა გაეწყუოთ, რა რიგათ გაეკაფოთ ჩვენი სასურველი შარა! როცა დანაშთენი ტკბილ-ძილში გართობილა იქმნებიან, მაშინ საქმე დაწყობილი გვექმნება, ჩვენ მიმინოს საჭირავი ბადე დიდის ხნიდამ ვაშლილი გვექმნება და სანამდის ნარდი მიმინოა შუილით ჩამოვიდოდეს, მანემდის ბევრს სხვა მფორანებესაც დავიჭირავთ, ბევრს თვალ ახვეულებსაც ვაგვამარავთ, ბევრი საფეთქი დაჭოები გვეყოლება გამართული. და რა თქმა სჭირია, ნარდიც ჩვენ ვერ აგვიხვევს ვერას დროს.

ჩვენი საზოგადობრივი წყობილება განა ისრე ოსტატურათ არ იქნება დაწყობილი, როგორც დრო და ვითარება მოითხოვს? განა ამხანაგობა, და სხვა და სხვა ასსოციაციები მართა გლეხობაში გამოდგებოდა და ჩვენ ვერ ვისარგებლებდით მით, ეს ვგონა ახალგაზრდას? უკაცრავათ, ტყუილად ნუ შეგ-

ვეურებს აგრე ღრეჯით, კბილ ღრქენით ახალ-თაობა, ნუ ისერის ფუტათამ წამახილებულს, შხამიანს ისრებსა, ნუ იტმუნგნის უნაყოფათ ყმაწვილობა, ნუ ისეთქს გულს.

თუკი ძველი მეფობის დროის აღიქვათ ჩვენს ზურგის ძელებს ატყვია, თუკი ყმების განთავისუფლების წინა დრო ჩვენს ქალარა თმაში გაქსულია, განა ეს წირბლიანი ჭიები, ეს ახლად გამოჩეკილი ყმაწვილობა ჩვენ აგვიგებს წინ ზღუდეს და მოწამლაეს ჩვენს შარას?

ვერა, ვერას დროს. ჰერ და ევაგოთ ჩვენი მახეები, ვაგვაბათ ჩვენი ორჭილო და ნახავთ, რა სტვენით, რა ტრფობით და ხარხარით თვითონვე ვაგებმან მათთვის დამხადებულ საფრხეში.


დახედეთ, თქვენი ჭირბდთ, მაგათ სიამაყეს, მაგათ ცუდლუტობას: ჩვენ უნდა ვაგვითხარონ დედამიწა და მოგვისპონ უკანასკნელი სულის დგმა, ჩვენ გვეჯიბრიებიან!

მაგათ, მაგ წუნკლებს, რომელთაც მეტი არაფერი ახსოვთ, როგორც ჩვენი ყმების ვაბედნიერება, განათლება, სწავლა უმრავლესობისა, ჩვენ კი სული ამოგვხადონ ისა სურთ.

ჩვენს ძველს ყმები შეუწირავს ეკლესიისათვის, რომ მით ჩვენს ოჯახს სიკეთე, ღეთის წყალობა მოეფინოსო. დღეს ამ ყმებს ეკლესიას ართმევენ და სახშირო ყმებათ უნდა გადააქციონ! ჩვენ არ დაეანებეთ. ის

არა სჯობიან, ჩვენი ყმები ისევე ჩვენ გვაძლევდეს სარგებლობას, ეს ჩვენ ვეცადეთ, ეს ჩვენ ვისურვეთ და ახლა გამოგვდგომიან და ყმებს თავისუფლებას რათ ართმევეთ, ყმები თავისუფალნი არიანო, გვეუბნებიან!

აი ეს ყმაწვილებია, რომ ვერ დაეაიუმეთ ჯერჯერობით, თორემ, მოგვცათ სიცოცხლე, იმათ, რომელნიც რუსეთში ვინ იცის თურამე რას არ ელტოდენ, რას არ ამბობდენ, აი იმათ, რომელთაც მოეშვათ თურმე თითო გოჯა გაბინძურებული ფრხილები, დიაკანსავით თმა და წვერ-ულვაშები, იმათ კი მოეუღეთ ბოლო: ვაგვცვენთ თუ არა თვითრთეთრის გემო, ეხლა იმაზედაც მიაწინეს, რომ პირველს თავის ძმას და მოგვარეს გაჰყიდიან ხუთ გროშში, თუკი მათთვის ეს გამოსადეგი იქნება...



გამოსადგენი და მით მხოლოდ მის ჯიბეს აგებს. ჩვენი ახალგაზდობის უმრავლესობა მართო იურისპრუდენციაში იყო განსწავლული, უფრო დიპლომებით დაიარაღებული და ჩვენი ხალხის მდგომარეობას ისრე ცოტათ იცნობდა, რომ ვერც კი ვახედა ხმ მდლად რამეს გამოთქმა. მინც უფრო სინი დისინი, პირუთნეველი იყო, იმათ მაშინვე გამოაშკარეს თავისი მიზანი, შეპყვეს თავი სხვა და სხვა ხელობაში და ამით ისრე დაშორდნენ ხალხს როგორც უცხოეთლები.

მცირედი რიცხვი, ვისაც კი გულს ეწოდა მაშინვე შეგროვდა ერთად და გამოვიდ აშკარათ და დაიკავა მაშინვე სულ სხვა ასარები და რაც შეუძლიან დღემდი სავარ შურავს არაფერს, რითაც კი შეიძლება საზოგადოების ცხოვრება წინ წასწიონ. ამ ყმაწვილებმა გლეხების მდგომარეობის შეცვლისათვისავე წარმოსთქვეს სურვილი, თუ რა და რა ცვლილებები უნდა მომხდარიყო, რა საშუალებანი უნდა ეხმარა საზოგადოებას, რომ კეთილ დღეობა მოეპოვებია.

იმათ, რასაკვირველია რამდენათაც სიტყვის გამოთქმის ნება ჰქონდათ, გადმოიღეს ყველა მოსაზრებანი, რაც რუსეთის და ან სხვა უცხო ხალხების ლიტერატურაში ყოფილა ეს მოსაზრებანი ზოგი გლეხობისათვის იყო გამოსადეგი, ზოგი უმაღლეს საზოგადოებისთვის. უფრო გამოსადეგი იქნებოდა, რასაკვირველია, პირათ გავერცელებით, რისაც ნებას კი დრო და ვითარება მისცემდათ, მაგრამ სად იყო ამოდენა ყმაწვილების რიცხვი, სად იყო კეთილი მიმართულების კაცები?

ა, ამის გამო ვახდა საჭირო ვახეთი დაარსებულიყო, რომ იმით მაინც შეეტყობინებია, რისიც გამოთქმა სურდა ამ პატარა ყმაწვილების გროვას. დაიბადა პირველათ „დროება“. დაიწყო კითხვა, მაგრამ საუბედურათ ოთხასი მკითხველის მეტი ამ ვახეთს არ ყოლია და არ ჰყოლია ამიტომ როგ საზოგადოება არ იყო დამზადებული; ამას გარდა ამ მკითხველებს შეადგენდა მართო უმაღლესი საზოგადოების წრე, მაშასადამე „დროებას“ ვერ შეეძლო დაბალი ხალხისთვის დიდი სარგებლობა მოეტანა, მისი სიტყვა ძვირად მიაწვედა ხალხის ყურამდი. მაწვილობა კი იმ შეხედულობის იყო, რომ სანაძღის დაბალი ხალხი არ წაიწვეს წინ, მანემდის ხალხის დღეგრძელობა შეუძლებელია. საჭირო იყო სხვა საშუალება გამოძებნილ იყო 1868-ში დაარსეს „სასოფლო ვახეთი“.

ამ ვახეთმა დაარსებდგანვე ურჩია ხალხს ისეთი საშუალება, რომელზედაც ვხლა ყველა ბასობს, ყველა სოფლები ფიქრობენ, სჯიან, ყველას სურს ის საშუალება თვითონ იხმაროს, ეს საშუალება მსესხებელ-შემენახველი ამხანაგობის დაარსება. დღემდის მისი სიტყვაც ფუქი იყო; მაგრამ წრეულს მძინის საზოგადოებამ პირველად მიიღო თავზედ ამის გამოცდა და მართლაც, როგორც ვხედავთ, ის არ შემცდარა. ბლეხებმა და თავდაზნაურობამ, ვინც კი მონაწილეობა მიიღო, ნათლად დაინახეს რომ ეს ღონისძიება ერთი საუკეთესოთაგანია, რომელიც დღეს მათ გაჭირებულ ცხოვრებას დაეხმარება. არ ვასულა სამი თვე და თიანეთის საზოგადოებამ ხელი მოჰქიდა ამ საქმეს, თვითონაც გაიწყო ამხანაგი ამხანაგობა. მხლა მრავალი სოფლებიდან ისმის, რომ იქაც სურსთ ამხანაგი ამხანაგობის შედგენა.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამხანაგი თავგამოდება მართო მთილისის გუბერნიაში არის და იმერეთი კი არაფერს ამბობს, თითქო მას არაფერი აკლდეს და იმგვართვე ცუდ ეკონომიურ მდგომარეობაში არ იყოს ჩეარდნილი, იე გულგრილათ შესცქერის ამ მოვლინებას.

ჩვენ იმას ვერ ვიტყვი, რომ ამ საქმემ ოქროს სახლ-კარი აუშენოს ჩვენს ხალხობას, მაგრამ იჭვი არ არის, რომ ეს საქმე ძრიელ დაეხმარება მას დღეობის ცხოვრების გაუმჯობესობაში.

N.

„დროების“ კორექსორდენსია

დ. მნი, 28 აგვისტოს.

მე მინდა ველაპარაკო მკითხველს იმ დაუბატრებელს სტუმრებზედ, რომლებიც არიან ყოველს წელს სოფელს ქეცხუთს (რეკაში) ერთი და ორი კი არა, არც ოთხი და ხუთი, ისინი არიან ასობით და ათასობით, ექვს მარიაობის თვეს, ფერისცვალების დღესასწაულს; მას აქეთ იქნება სამი თუ ოთხი წელი, რაც ეს შეკრებილება გაჩნდა ქეცხუთის ქალებზედ. აქ შემდგომ სადილისა და იწყებს ხალხი მოგროვებას, ამ უფხდის ახლომანლო და დაშორებულის სოფლებიდანაც: კაცი, ქალი, მოხუცებული, ჰაბუკი, ყმაწვილები ყოველი წოდებისანი, ისრე რომ ორი საათის განმავლობაში დაინახეთ ვეება მინდორს საესეს. ამ კრებაში არ არის სრულიად არა ვითარი ვაჭრობა და ამისთვის არ დაერქმის იარმუკა; ეს არის დროების გამოტარებელი კრება, რომელიც ოთხი ან ხუთი საათი დარჩება აქ. ნახეთ აქ მაცეკვარბიჭებს და ქალებს, სიმღერას, ორფხურს, ცხენების ჰენებას, ჯირითს, სმას და ხანდისხან ამ სმისაგან ჩხუბსაც; ამ დღეს ამგვართ დალაშქვებს; საღამოს, რასაკვირველია, ზოგს მათგანს ეყოლება ამ სოფელში ნათესავი და ნაცნობ, ძალა-უნებურათ უნდა ვახდენ ისინი იმ დამეს ამ სოფელის სტუმარი, რადგან თამაშობაში შემოალამდებათ და თავის სოფელში ველარ მიახწვევენ. აი ამისათვის დავარქვი ამ კრებას დაუბატრებელი სტუმარი; მართლათაც რომ ვსთქვათ, ამ სოფელს გვირანი ხარჯი მოსდის ამგვართს სტუმრებისაგან. „სურდელს თავის ქონით თვალმეს სწევადნო“ სწორეთ ასრე მოუვიდათ ქეცხუთელებს. მხლა ის ვსთქვათ, საიდგან ვახნდა ეს კრება? ეს კრება ვახნდა აი როგორ: ამ სოფელში არის თრიმლი; ამ თრიმლს ქალები ხმარობენ საღებავად და რადგან სხვა სოფლებში არ იშოვება და თუ იშოვება ძალიან ცოტა, ამიტომ ვისაც კი უნდოდა ეს ბალახი, ყოველთვის ფერისცვალების დღეს უნდა მოსულიყენენ და მოეკრიფათ.*) აქ მოდიოდნენ ქალები პირველათ სამი ოთხიოდე, წამოიღებდნენ საგზალს, დასხდებოდნენ, როცა თავის მუშაობას მორჩებოდნენ, და ქეფის ვასწევდნენ; როცა ვამხიარულდებოდნენ მაშინ დაიწყებდნენ სიმღერას, ცეკვას და ფერხულს. როცა თანდა-თან მოემატენ, მაშინ თან წაჰყვებოდნენ ამ ქალებს ან ქრები ან ნათესავები, რომ ქალებში უწესობება არ მომხდარიყო; რასაკვირველია ეს კაცებიც ამ გვარს ლხინზედ უარს არ იტყოდნენ. ასრე ამ კრებამ ისრე იმატა, რომ ეხლა ასოით და ათასობითაც მოდიან. მაგრამ თრიმ-

*) ფერისცვალებას იმიტომ ჰყრფენ თრიმლს რომ ქალებს მართო უფრო მოეკიდება საღებავს.

ლისთვის კი არა, როგორც ვსთქვით, დროების ვასატარებლად არის რეკაში ისრეთი სოფლებიც, რომლის მცხოვრებლებს ვგვრაც არ შეუტყვიათ, თუ აქ ამისთანა კრება, შიტომ რომ ახალი საქმეა და რომ შეიტყობენ, რასაკვირველია, ისინიც არ გამოიხიციხვენ აქედან თავიანთ თავს. „რაც თხამ უყო თრიმლს, ის თრიმლმა—თხის ტყავს“ ეს ანდაზა არ სრულდება ქეცხუთელებზედ; თრიმლიც მიჰქონდათ გარეშე სოფლებების ქალებს ქეცხუთიდან და ეს ხარჯიც ქეცხუთელებს დაადეს. მითქო ამითი დასაჯეს ისინი, რომ რათ ვაჩენილა თქვენს სოფელში თრიმლიო. ამათზედ ზემოთ ნათქვამი ანდაზა უფრო სრულდება: „კურდღელს თავის ქონით თვალმეი დასწევსო“.

ა. შარაშიძე.

უცხო ქვეყნები

საზარანგეთი.

— ვახეთებში დაბეჭდილია ვახენის ცოლის წერილი ეხლანდელ საფრანგეთის შინაგანი საქმეების მინისტრთან მიწერილი. ამ წიგნში მადამ ვახენი ამბობს: „მართო მე და ჩემი ნათესავი რულლო ვართ ვახენის ვაქცევის მონაწილე, სხვა ამ საქმეში არავინ ურევიო.“ შემდგე ვახენის ცოლი აღწერს, თუ რანაირათ მოუხერხა მოხუცებულს ქმარს თავის დასხნა სენ-მარგარიტის კუნძულიდან.

— წმინდა მარგარიტის კუნძულის კომენდანტს, სადაც ვახენი იყო დაჭერილი, ძალიან დაბნევიო ჩვენება. ამას გარდა გამოამდიებელს უნახავს ბევრი საბუთები და ბარათები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ვახენის ვაქცევაში ცოლსა და იმის ნათესავს გარდა სხვებიც რევიან. პარიჟის ვახეთებში ამბობენ, რომ რამდენიმე კვირით წინ მზადება იყო პარიჟში ვახენის ვაქცევისათვის და კუნძულის დარაჯებს დიდი შემწეობა მიუციათ ვაქცეული ტუსაღისთვის. ვახეთი რაპველი ამტკიცებს, რომ მულამი პარლამენტის კომისისი უნდა შეკრებს დაუყოვნებლივ ვახენის თაობაზედ.

— მხლა ჭრანცუზები მახვილობენ-თურმე ასე: ვახენს მარგარიტის კუნძულიდან ვამოსვლა უფრო ბედნიერათ მოუვიდა, ვიდრე მეციდგანაო.

— ვახეთი „ჩიგარო“ ამ ნაირი ვესლიანი ხუმრობით ხატავს მეროპის შთაბეჭდილებას ვახენის ვაქცევაზედ. „მხლა ყველა მეროპიელი ტუსაღები თხოულობენ, რომ ისინი საფრანგეთის სატუსაღოში დაამწყვდიონ და თუ გინდ ორ წილ ვადაზედ დათანხმდებიან ისინი.“

— მთხს აგვისტოს ვახენი ქელნში მისულა და ვაუკეთებია ვიზიტი იქური ციხის კომენდანტისთვის, რომელსაც იმ წამსვე ვადაუხდია ვახენისთვის მაგიერი ვიზიტი.

— „სურნალი დედება“ ამბობს ვახენის თაობაზედ: როგორც ვიცით ნამარშლი ვახენი დასჯილია სამხედრო სამსაჯულოსგან არა პოლიტიკური დანაშაულობისთვის, არამედ სისხლის სამართლის დანაშაულობის-

თვის. საეცილით დასჯა, რომელიც ვაუჩინა სამსაჯულომ ვახენს ამტკიცებს, რომ რენის არმიის ნასარდლმ ვადაუხევიო სამხედრო კანონს, თორემ სიკედილით დასჯა 1848 წლის შემდგე სრულიად მოსაზობილია საფრანგეთში პოლიტიკური დანაშაულებისათვის. ცხადი საქმეა, რომ ჩვენს მართებლობას არ შეეძლო მოთხოვა არც ამერიკისთვის არც ინგლისისთვის რაშფორისა და მისი ამხანაგების მოცემა, რადგანც ისინი პოლიტიკურ დანაშაულებათ ირიცხებოდნენ. მაგრამ ვახენის საქმე სულ სხვაა. რესპუბლიკის პრეზიდენტმა სიკედილით დასჯა, რომელიც ვახენს ვაუწესა სამხედრო სამსაჯულომ, შეუშუბუქა მას ოცი წლის სატუსაღოზედ, მაგრამ ამ შემსუბუქებას, როგორც ჩვენ ნამდვილათ ვიცით, სრულიად არ შეუცვლია ვახენის დანაშაულობის ხასიათი და არც ის შედეგი, რომელიც იმას მოჰყვება სისხლის სამართლის კანონით. მაშა სადამე ჩვენის აზრით მართებლობა ვალდებულია, რომ მოსთხოვოს ყოველს სახელმწიფოს, სადაც ვახენი იქნება, იმისი მოცემა, თუმცა კი კრიმინალური დანაშაულის ვაცემის პირობა არსებობს იმ ქვეყანასთან. ამის მაგალითები მრავალია. მინამ ჩვენ არ ვიცით ვერ, რა გორს ვარდაწყვეტილებას დაადგება მაკ-მაპონის მართებლობა შესახებ ვახენისა, ყოველს შემთხვევაში გარეშე და შინაგანი საქმეების მინისტრებმა მანც უნდა ვანსაჯონ ეს სამნიშვნელო, და არ დაეფარეთ, სადა თაკილო საგანი.

— ვახენის ვაქცევამდის რამდენიმე დღის წინეთ ერთი ფრანციზული ვახეთი ამბობდა ვახენისა და მაკ-მაპონის ერთმანეთან დამოკიდებულობაზედ შემდგეს სიტყვებს: ლაპარაკობენ ბევრს ვახენის ცოლის და მაკ-მაპონის მუსაიფზედ. მაგრამ მათი მუსაიფის შინაარსი, სრულიად არ იქნებოდა ისეთი, როგორც სწერენ. ვახენის მეუღლე რასაკვირველია ვერ სთხოვდა მაკ-მაპონს, რომ მის ქმარს ოცი წლის საპრობილე საფრანგეთიდან ვანდენათ შეუცვალოს, რადგანც კანონში სწერია, რომ ვანდენა შეიძლება მხოლოდ ათის წლით და იმის შემდგე დასჯილს ხელახლავ ნება აქვს მობრუნდეს სამშობლოში. ამასთანავე ვახენის მეუღლის ვიზიტი სრულიად შესავედრებლად არ ყოფილა, იმისი ვანხრახევა იყო, რომ შეეშინებია რესპუბლიკის პრეზიდენტი. ვახენის დამცველმა ლაშომ ბევრი ისეთი საიდუმლო იცის მაკ-მაპონზედ, რომელნიც ერთბაშით ვაქრობდა მაკ-მაპონს, ამ „გულ ალალ მხედარს“. ერთი ამ საიდუმლოთაგანი მდგომარეობდა იმაში, რომ ბატონი მაკ-მაპონი სრულიად არ ყოფილა სედანში დაჭრილი, მაგრამ იჩემებდა კორასაკვირველია ამხანაგი კომედიატობის ვამქლავნება ერთობ უფროთხობს ძილს მარშალ-პრეზიდენტს. ლაშომ ისარგებლა ამ ვარემოებით და აიძულა მაკ-მაპონი, რომ სიკედილით დასჯა შეეცვალა ვახენისთვის ოც წელიწადს საპრობილეში დამწყვდევაზედ. ამას გარდა პრეზიდენტმა შეჰპირდა ვახენის ჰირისუფალს, რომ ის მალე მთლად აპატივებს ვახენს და ეს ვაღვიანება იყო პირობისა, რომ აიძულა ვახენის ცოლი მაკ-მაპონთან მისვლაზედ, რადგანაც პრეზიდენტი კიდევ ვოყმანობდა, ამისთვის ვახენის ცოლი მწუხარებით კი არა მუქარით დაშორდა მარშალს მაკ-მაპონს. ეს ამბავი დაწერილი იყო 21 ივლისს და 31 ვახენიც ვაქცეა. ამხანაგი წინასწარ მეტყველობა ერთობ აქვებს ეხლა ფრანცუზებს.

მსპანია.

მსპანიის რესპუბლიკა იცნო ამ დღეებში სამხ. უმთავრესმა მერობიელმა სახელმწიფომ: საფრანგეთმა, ინგლისმა, და ბერმანამ. სა- გულისხმოა, რომ სხვა პატარა ქვეყნებიც წაბძენ ამ გადაწყვეტილებას. ამის შემდეგ შინაური ბრძოლა მსპანელებში უფროდ მა- ლე დაბოლოვდება. მსლა, რადგანც მსპანიის რესპუბლიკა არა ჰყავდა ნაცნობი უმთავრეს მერობის სახელმწიფოებს, ამიტომ შესაძლე- ბელი იყო რომ ღონკარლოს დაუბრკოლებ- ლით გაეტანა სხვა და სხვა დღელებიდან თოფ იარაღი, სურსათი და სხვა ამის მასალები. მსლა კი ეს აღარ იქნება შესაძლებელი და მსპანიული ბურჰონი ძალა უნებურათ უნდა დაემონოს გარემოებას, ე. ი. დაჰყაროს იარაღი და დაემორჩილოს ხალხის მმართვე- ლობას.

იტალია.

შეერთებულმა იტალიის სამეფომ ვერ გა- ნამართლა პატრიოტების მოლოდება და ამიტომ არის, რომ იქ ხშირათ დგება სხვა და სხვა საიდუმლო და ცხადი საზოგადოე- ბანი, რომელთაც აქეთ მიზნათ ესლანდელი მართებლობის გადადგება და რესპუბლიკის დაარსება იტალიაში. ამას წინეთ მთავრო- ბას მიუგნია ერთი საიდუმლო საზოგადოე- ბისთვის და დაუტუსაღებია იმის წევრები. საზოგადოებას, როგორცა სჩანს, კარგა ძალი იარაღი და მასალა ჰქონებია მომზადებუ- ლი მართებლობასთან საბრძოლველად.

ფლორენციაში მმართველობას გამო- უტყია ბრძანება, რომლითაც დაითხოვება და დაიხურება ყველა ხალხთა შორისი და რესპუბ- ლიკელი საზოგადოებანი ამ ქალაქში. ამ ბრძანებით ოცდა თექვსმეტი საზოგადოება დახურულა. იტალიის მმართველობას უფუ- ჰდება ფესვები ხალხში, და ეს მართებლო- ბის წინააღმდეგი მოძრაობა იმასა ნიშნავს, უფროდ. მაგრამ საკვირველი ის არის, რომ მონარქიულ სახელმწიფოში, როგორ არ- სებობდა კანონის ნება-რთვით რესპუბლი- კელი საზოგადოება?!

ზარიბადი ეხლა უკეთ არის თურმე. ამისთანა კაცებისთვის მაინც რომ იყოს განსხვავება და არ ავადმყოფობდნენ არას ოდეს, სამართალი ეს იქნება, ჭაშმარტად.

შენიშვნა.

საფრანგეთის საზოგადოება საშინლად აუღელვებია ბაზენის გაქცევას და გზებები საესევა ეხლა ამ სამშობლოს მოლაღატის ამბით. ხალხი და რესპუბლიკური ჟურ- ნალები ხმა მალა ამტკიცებენ, რომ ბაზე- ნის გაქცევაში მთავრობა ურეგიაო. ისინი ამბობენ: „რა რწმუნება უნდა ჰქონდეს ქვეყ- ნას ისეთ მმართველობაზედ, რომელმანც ერ- თი ტუსადის დარაჯი ვერ შესძლო! ამის შემდეგ ვისლა დააჯერებს მაკმპონის მართებ- ლობა, რომ ის ძლიერი და უნაგაროა?!...“ მართის სიტყვით, ბაზენის გაქცევა საზარელ მდგომარებაში ჩაყენა მთავრობა და საე- კეოა, რომ იმან გამოიმართლოს თავი, თუნ- და ძალიანც რომ დასაჯოს ბაზენის ზედა- მხედველები და მცველები. მსლა რომ ნაციონალური კრება შეყრი- ლი იყოს, უეჭველია რესპუბლიკელები პასუსს

მოსთხოვდნ მმართველობა: და მინისტრები მათი დაუდგენელობისა თვის უფროდ ჩამო- ბრძანდებოდნ თვის მალაი ალაგებიდან. მაგრამ მათი ბედი ეს არის, რომ ნაციონა- ლური კრება ეხლა დაშლილია და იმის აღ- გილს დარჩენილია მართა მუდამი კომისია. აქ კი რასაკვირველია მოსთხოვენ პასუსს მთავრობას რესპუბლიკელი ხალხის წარმო- მადგენელები, მაგრამ სამინისტროს ამითი დიდი გასაკირი არ მოუვა.

ამ შემთხვევაში შესანიშნავი ის არის, რომ რამდენიმე დღის წინეთ, სანამდის გაიქცეოდა მეცის გამცემი სარდალა, ბონაპარტულ წრე- ბში ლაპარაკობდნ, რომ ბაზენი გაიქცე- ვაო მარგარიტის კუნძულიდან. მს ხმა ბეჯითად მთავრობამდისაც მიალწვედა, მაგ- რამ იმას არავითარი თედარიგი მოუხდენია, რომ ნაპოლეონის ნამარშლი არ წასულიყო საბურთბილიდან. ამის შემდეგ რაც ბეგრი არ ილაპარაკან და იფიცონ მაკ-მაჰონმა და მისმა მინისტრებმა, ვინლა დაიჯერებს, რომ ისინი „ზნეობისა და წესიერების დამცველი“ არიან? საბრალოე შენ, ზნეობაე და წესი- ერებაე! რამდენი ქვეყნის მოლაღატე, ხალ- ხის ორგული, და რამდენი გარყენილი, ბოროტი კაცი ახსენებენ თავის საძა- გელი განზრახვების შესასრულებლად შენს წმინდა და უმანკო სახელს!

ნაკვეთი

ლონდონში ყოფილა გამოფენა ყოველ გვარი სასმელ საქმელისა. ამის სიმშენი- რე სანახავი, ამბობს ერთი ინგლისური გა- ზეთი არაფერი იქნებოა. ზოგიერთ ჩვენ მებატონებს რომ შეეცყოთ, უფროდ არ დააკლდებოდნენ ამ ღირსეულ გამოფენას და ვერც უკეთესს ექსპერტებს დამფასებ- ლებს) ნახავდა ბეჯითად ეს საინტერესო გამოფენა.

ამას წინეთ საფრანგეთის ნაციონალურმა კრებამ დანიშნა სამასი ათასი ფრანკი იმის- თვის, ვინ მონახავდა აბრეშუმის ჭიის სნე- ულების წამალს. სწავლულს პასტერს მო- უნახავს საშუალება, თუ როგორ შეიტყოს, სნე- ულია ჭია თუ არა, მაგრამ ექიმობა კი ვერ მოუხერხებიათ აქამდის. მსლა იზერის დე- პარტემენტს დაუნიშნავს კიდევ ორმოცი ათა- სი ფრანკი საჩუქარო, ვინც გამოგონებს ჭიის განსათავისუფლებელ წამალს. 1863 წელში მეურნეობის მინისტრმა აძლია ექ- ვასი ათასი ფრანკი ერთ იტალიელს მნეს- სის, მაგრამ ვერც იმის ექიმობისაგან გა- მოდგარა. ჭრანციულ ჟურნალში „Econo- miste Frangais“ შემდეგი ანგარიშია მოყვა- ნილი, თუ როგორ იკლო სულ აბრეშუმის მოსაეღამა 1852 წლიდან. 1852 წ. მო- ეიდა საფრანგეთში თორმეტ მილიონ კლოგრამაზედ ცოტა მეტი. 1862 წ. ათ მილიონ კილოგრამამდის. 1872 წ. ათ მილიონამდის. და უკანასკნელად 1873 წ. რვა მილიონზედ ცოტა მეტი. მს ანგარი- ში გვიმტკიცებს, რომ აბრეშუმის მოყენა სულ უფრო და უფრო მკორდება საფრან- გეთში და რა გინდ სასარგებლო იყოს უ. პასტერის აღმოჩინება, უწამლოდ სნეუ- ლობის მოსაბოა მაინც არ შეიძლება.

საფრანგეთში ყოველ-წლიე სწევნ თურმე ორას ორმოცდა ოთხი ათას მილ- ლიონ პაპიროსს, დღეში—რეას ხუთ მილ- ლიონს, საათში—ოცდა ცამეტ მილიო- ანს. მითოა ოჯახში რომ ხუთი სული ვი- ანგარიშოთ, მაშინ საფრანგეთის ორმოც მილიონ ხალხზედ, თითოეულის ოჯახის ოთხს სულზედ, ყოველ საათში თითო პა- პიროსი მოდის.

აესტრიის იმპერიაში კიდევ ერთი უნი- მრისტიტის დაფუძნებას აპირებს მმართვე- ლობა, მაგრამ ჯერ გარდაწყვეტილი არ არის, რომელს ქალაქში უნდა იქნეს ეს უნივერ- სიტეტი. მმართველობას მხედველობაში აქვს ოთხიოდე ქალაქი, და ამათ რიცხვში სლოვენე- ბის ქალაქი ჩერნოვიცი ურეგია. ზოგიერთი გაელენის მექონე პირები, და ამათ შორის ბუკოვინის მიტროპოლიტი, სცილიობენ, რომ ახალი უნივერსიტეტი უფროდ ჩერნო- ვიცის ქალაქს ერგოს. მს პირველი უნივერ- სიტეტი არ იქნება, რომელიც აესტრიის იმ- პერიას თავის ქვეშევრდომის უცხო ტომის ხალხებისათვის დაუფუძნებია.

დედა-მიწის ზურგზედ ბევრი იმისთანა ახირებული კაცი დალოდაეს, რომ როდესაც ხეირიანს რასმე ვერაფერს გააკეთებენ, აშკა- რა სულელობით სახელის მოპოვებას მიიწ- დომებენ: ინგლისში გამოჩენილა ერთი ცრუ მეცნიერი, რომელიც ამტკიცებს თურმე, რომ დედა-მიწა ბურთივით რგვალი კი არ არის, ბრტყელიაო და არც ტრიალებოა. ამ კაცს თავისი თხუზულება კიდევ დაუბეჭდაეს და სახალხოდ ჰყიდის თურმე.

ინგლისურ ენაზედ გამოსულა ერთი წიგნი, რომელშიაც დასახელებულია ყველა ჟურნალ-გაზეთები, რაც ჩრდილოეთის ამე- რიკის შეერთებულ შტატებში იბეჭდება. როგორც ამ წიგნიდან სჩანს, შეერთებულ შტატებში 8,081 ჟურნალი და გაზეთი გამო- დის; ამ რიცხვისაგან 507 ნიუ-იორკის ქა- ლაქში, 194—ბოსტონში, 168—შილდელ- ფიაში, 145—ჩიკაგოში, 93—სან-შრანსისკოში, 81—სან-ლეოში, 71—სინცინატიში, 44— ბალტიმორაში, 38—მაშინგტონში.

მაშინგტონის სტატისტიკურ დებარტა- მენტს გამოუცხადებია დედა-მიწაზედ მცხო- ვრებთ ანგარიში: მთელს ქვეყანაზედ სულ 1,303,052,000 მცხოვრები ყოფილა. შეელა სახელმწიფოზედ უფრო ბევრი მცხოვრები, რასაკვირველია, ჩინეთში ყოფილა, სახელ- დობრ 425 მილიონი. მალაქებთაგან ლონ- დონში 3,254,260 მცხოვრები ყოფილა, სუჩანში (ჩინეთის ქალაქია)—ორი მილიონ- ნი, პარიჟში—1,852,000, პეკინში (ჩინეთის ქალაქია)—1,300,000, ნიუ იორკში—942 ათასი, ვენაში—834 ათასი, ბერლინიში— 825, ალკუტრაში (ინდოეთში)—784 ათა- სი, შილადელფიაში—674 ათა'ი, პეტერ- ბურღში—667 ათასი, ბომბეიაში (ინდოეთ- ში)—644 ათასი, მოსკოვში—612 ათასი.

გიგლიოზრაჟიული ცნობა. იბეჭდება და შემოდგომაზედ გამოვა გასასყიდათ „საქმავშილო კონა“ ანუ პირველ-დაწყებითი მოთხრობანი ბუნების მეცნიერობიდან. პირველი ნა- წილი. შედგენილი ი. გოგუბაჟი- ლისაგან.

საქმავშილო ბალი და მასთან მიზნითი მისი პირველ-დაწყებითი შოლა.

რომელიც მე მივიღე სიმონოვიჩისაგან, იქნება ამას იქით სოლოლაკზედ, კონსტანტინოპოლში, იმ სახლების ზეგო ეტაჟში, რომელიც ეხლა მიზნოვის არის და წინათ პრიჟანოვისკის ეკუთვნოდა.

სასწავლებელი პროგრამა და შკოლაში ყმაწვილების მიღების პირობები ისევ ის არის, რაც წინათ იყო.

1) საქმავშილო ბალსა და შკოლაში მიი- ლებინ ორივე სქესის ყმაწვილები თერთმე- ტი წლოვანობის შესრულებამდის.

2) საქმავშილო ბალში მიიღებიან ყმაწვი- ლები შეიდ წლოვანობამდის; სწავლება არის 10-დგან 2 საათამდის.

3) საქმავშილო ბალში მოსწავლეთათვის იხდიან თვეობით 4 მანეთს; ამას გარდა მი- ლების დროს უნდა შეიტანონ მასალებისა- თვის 1 მანეთი.

4) ფული უნდა გარდინდონ ყოველის თვის პირველს რიცხეს წინაღწი; ყმაწვილე- ბი, რომელნიც სამის კვირის განმავლობა- ში ბალში არ ყოფილან, გამოსულად შეი- რიცხებიან და მეორეჯერ ბალში მიღების დროს მასალებისათვის ჩელახლად 1 მანეთს იხდიან.

5) შკოლა აშხადებს ყმაწვილებს ყველა სახანო სასწავლებლებში შესასვლელად: სამხედრო და სამოქალაქო გიმნაზიაში. საქა- ლებო ინსტიტუტში, წმ. ნინოს სასწავლე- ბელში და მისის იმპერატორების შიშოლესობის დიდს ქნენის ოლგა თეო- დორეს ასულის საქალბო გიმნაზიაში.

6) შკოლა გაყოფილია ორ კლასად, რომელთაგან პირველი ორი, განყოფილებისა- გან შესდგება. პირველს განყოფილებაში მიიღებიან შეიდის წლის ყმაწვილები უეჭვა- მენად; მეორე განყოფილებაში შესასვლე- ლად საჭიროა „Радное Слово“-ს პირველის ნაწილის ცოდნა და 20-დის ანგარიში ბრუ- ბეს მეთოდით.

7) შკოლაში სასწავლებელი საგნები არი- ან შემდგენი: საღმრთო კანონები მართლმ- დიდებელისა და სომეხთ სარწმუნოებისა; ენები: რუსული, სომხური (სომხეთათვის), ფრანკული და გერმანიული (ნემეცური), არითმეტიკა, ჩვენებითი სწავლება, გეოგრა- ფია, ჟურნა, ხატვა და ხელსაქმე.

8) სწავლა არის შკოლაში 1 სექტემ- ბრიდან 1 ივნისამდის, ყოველ დღე კვირა- სა და დღესასწაულებს გარდა, მ დგან 2 სა- ათამდის.

9) მითოეულ ყმაწვილზედ ყოველ-წლიე დაწესებულია 60 მანეთი გარდასახალი. ამ ფულის შესატანად დანიშნულია ორი ვადა: ნახევარი, ესე იგი 30 მანეთი, უნდა შეიტა- ნონ ყმაწვილის შკოლაში მიღების დროს და მეორე ნახევარი (30 მან.) 15 იანვარს. დედა-მა, რომელთაც შკოლაში 2 ყმაწვილ- ზედ მეტი მიუტიათ, იხდიან პირველისათვის 60 მანეთს, მეორესთვის—50 მანეთს და მე- სამისა და შეადგებისათვის თითოეულზედ 40 მან.

10) პირველ კლასში შესვლის დროს 3 მანეთი უნდა გარდახადონ, და მეორეში- ნ მანეთი სასწავლებელი ნიეთების სასყიდ- ლად.

ყმაწვილები მიიღებიან შკოლაში 20 აგ- ვისტოდგან, 1 სექტემბრამდის, 10-დგან 2 სა- ათამდის, ესლანდელს ჩემს სადგომზედ თა- ვადის ნიკოლოზ ტუმანოვის სახლებში, გუ- ბერნიის სამმართველოს პირდაპირ და 1 სექ- ტემბრიდან 15-დის ზემო სხენებულს სად- გომზედ, მიზნოვის სახლებში.

საყმაწვილო ბალში ყმაწვილების მიღება შეიძლება 20 აგვისტოდგან ყოველთვის მრთელის სასწავლებლო წლის განმავლო- ბაში.

ი. ჭაბა. მალაქს თბილისში მართანოვის წიგნების მაღაზიაში ისყიდება მანარკითა ლამისიონი. ლ. თინურს, რუსულს და ქართულს ენებზედ შედგენილი თ. რაფ. დ. შიისთვის მიერ შხი ათი შურტი.